სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

150 დავით აღმაშენებლის გამზირი
თბილისი,საქართველო
+995 32 295 00 30

02 / აგვისტო / 2024 წ.

KA020121107976724

№ **22/6081**

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ მცხეთის მუნიციპალიტეტში, მუხრანისა და ძეგვის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების (1 700 000 $მ^3$/წელიწადში (არმაზის სათავე ნაგებობიდან - 200 000 $მ^3$/წელიწადში, ქსნის-მუხრანის ველის სათავიდან - 1 500 000 $მ^3$/წელიწადში), 25 წლის ვადით, კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის) სკრინინგის განცხადებას (ID_49862_54102, 26.04.2022 წ.).

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილები) წარმოდგენილია არმაზის სათავის სახელწოდებით (1 ჭაბურღილი) და ქსნის-მუხრანის ველის სახელწოდებით (8 ჭაბურღილი).

გეოსაინფორმაციო პაკეტის 2.5 პუნქტით გაწერილია დაშორება მნიშვნელოვან პუნქტსა და სალიცენზიო ობიექტს შორის. შესაბამისად, მანძილი ქალაქ მცხეთიდან არის 5-15 კილომეტრი.

სალიცენზიო ობიექტების (ჭაბურღილები) აბსოლიტური სიმაღლე ზღვის დონიდან არმაზის სათავე ნაგებობიდან დაშორებულია 506 მეტრის ფარგლებში, ხოლო მუხრანის ველი - 525-531 მეტრის ფარგლებში.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.

ობიექტი არ მდებარეობს სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები, ასევე არ ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებთან, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან.

წიაღით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 5 გვ. Shape ფაილი.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად